სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5007505424

10/12/2024

5007505424

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

ინფორმაციის საჯაროობის 2024 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაციის საჯაროობის 2024 წლის ანგარიშს.

1. ბიუროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარედგინა 524 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით ბიუროსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა 522 შემთხვევაში. 2 განცხადება განხილვის პროცესშია და პასუხი გაიგზავნება კანონით განსაზღვრულ ვადაში. საჯარო ინფორმაცია გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ბიუროს იურიდიული სამმართველოს უფროსის იმედა გუგუშვილის მიერ.

3. ბიურო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ბიუროს მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

5. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ბიურო ხელმძღვანელობდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებით.

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5007505424

6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

7. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით მოსაკრებლის ჯამმა საანგარიშო წლის განმავლობაში შეადგინა 105.59 ლარი. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის (ბიურო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ ჰქონია.

5007505424

დანართი N1

მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა გაცემის შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის რაოდენობა	განხილვაში მყოფი განცხადების რაოდენობა	ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
524	522	0	2	105.59 ლარი

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

5007505424

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 10.12.2024 (ხელმოწერა) ბ.ა

NATIONAL FORENSICS BUREAU